პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
სამშაბათი, 1 აპრილი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 464 ქ. მ. ღ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ულ № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე.

თავისი ბედი თვით ბესარაბიის ხალხმა უნდა გადასწყვიტოს

ვენის კონფერენციის მუშაობა უკვე დაიწყო. ორივე დელეგაციათა შორის მიღწეულია შეთანხმება კონფერენციის წესრიგის შესახებ, მაგრამ, როგორც რადიო გადმოგვცემს, რუმინეთის დელეგაცია უარზე სდგას ბესარაბიის საკითხის განხილვაზე, რადგან ასეთი მას უკვე გადაჭრილად მიაჩნია რუმინეთის სასარგებლოდ.

ამრიგად რუმინეთის დელეგაცია კვლავ ააშკარავებს თავის სახეს ამ საკითხში. ის წინააღმდეგია არა თუ ბესარაბიაზე ხელის აღებისა, არამედ ამ საკითხზე რაიმე დისკუსიის გამართვისაც. რუმინეთის დელეგაციის ამ კითხვის ასეთი დაყენების გამო, საბჭოთა დელეგაციამ გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია ბესარაბიის შესახებ.

დეკლარაცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს და ნათლად ამტკიცებს იმ დებულებას, რომ არავითარი ისტორიული უფლებები ბესარაბიაზე რუმინიას არ აქვს. ურყევი საბუთებით საბჭოთა დელეგაცია ამტკიცებს, რომ ბესარაბიის ოკუპაცია რუმინეთის ჯარების მიერ ნიშნავს ძალდატანებითი შემოერთებას. ლაპარაკი მასზედ, თითქოს ბესარაბიის მშრომელმა ხალხმა დაადასტურა რუმინეთის ხელქვეით არსებობა ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.

„სფატულ ცერიის“ დადგენილება, რომ ბესარაბია საბოლოოდ უერთდება რუმინიას არ არის კანონიერი, რადგან ჯერ ერთი „სფატულ ცერის“ შემადგენლობას უმრავლესობა რუმინეთის მთავრობის აგენტებისაგან შესდგებოდა და მეორე, ბესარაბიის საკითხის განხილვის დროს დარბაზი იყო შემორტყმული. გარდა ამისა სხდომაზე „სფატულ ტერიის მნიშვნელოვანი უმცირესობა იყო“. ასე რომ ეს დადგენილება ერთგვარ ტერორისა და ძალდატანების საშვალებით იქმნა გამოტანილი.

ამასთანავე ერთად დეკლარაციაში საბჭოთა დელეგაცია გარკვეულად ახასიათებს იმ თვალსაზრისს, რომლითაც უდგება საბჭოთა კავშირი ბესარაბიის საკითხის გადაჭრას. „საბჭოთა ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ ბესარაბიის საკითხში ის არ სდგას ისტორიულ უფლებების თვალსაზრისზე ბესარაბიის მიმართ.“

ყოველივე ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვს, რათა თავისი ბედი თვით ბესარაბიის ხალხმა გადასწყვიტოს პლებისციტის საშვალებით. ასეთია მოკლეთ საბჭოთა დელეგაციის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაციის შინაარსი.

ამ აქტით საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ეროვნული პოლიტიკის სისწორე, რომელიც სამართლიანობაზე, თანასწორობაზე, ძმურ თანამშრომლობის ნიადაგზეა აგებული.

საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ მას აინტერესებს არა ის, რომ ბესარაბია უსათუოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილი გახდეს, არამედ მის მიზანს შეადგენს სისრულეში მოყვანილი იქმნას ის, რასაც მოისურვებს თვით ბესარაბიის მშრომელი ხალხი.

ჩვენ არ ვიცით რა პასუხს გასცემს ამის შემდეგ რუმინეთის დელეგაცია წითელ დიპლომატებს და როგორ წავა კონფერენციის საქმე.

მაგრამ ერთი რამ კი ნათელია, რომ თავისი დეკლარაციით საბჭოთა კავშირმა კიდევ უფრო ასწია და აღამაღლა თავისი ავტორიტეტი არა მარტო ბესარაბიის მშრომელთა თვალში, არამედ ყველა დაჩაგრულთა და წამებულთა შორის.

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

საბჭოთა ხელის უფლების მტრები არ სცხრებიან. ყოველ წუთს, ყოველ წამს სადაც არ უნდა იყონ ისინი მზად არიან გადმოანთხიონ თავისი გესლი და სიძულვილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ დღეებში ინგლისის ლორდთა პალატაში ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მოწინააღმდეგეთა, მორიგ გამოსვლას ლორდ კერზონის მეთაურობით.

კერზონი ერთ ერთი დაუძინებელი მტერია საბჭოთა მთავრობისა. ბალდვინის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს, ის აშკარა საწინააღმდეგო და მტრულ პოლიტიკას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ის ასრულებდა და ატარებდა იმ ხაზს, რომელსაც მას უკარნახებდა კონსერვატიული პარტიის მემარჯვენე ფრთა—ინგლისის მსხვილი ფინანსისტები და კაპიტალისტები, რომლებიც დღესაც ვერ შერიგებიან მუშათა კლასის დიქტატურას რუსეთში და სურთ ისევ იმპერიალისტური ინტერვენციის გზით და საბჭოთა წესწყობილების დამხობით გაინაღდონ თავისი დაკარგული სიმდიდრეები.

ცხოვრების ულმობელმა კანონებმა დღეს ისინი ჩამოაშორა ინგლისის სახელმწიფო საჭეს.

მუშათა მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობამ მეტად განარისხა ინგლისის რეაქციონერები. კერზონის პირით მუშათა მთავრობის ამ ნაბიჯს ისინი უწოდებენ „მოუფიქრებელ ნახტომს გაურკვევლობისაკენ“. რამ ააყაყანა კერზონები? რათ ყრიან ისინი კვლავ დორბლს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ? რათა სჭირიათ მათ კვლავ ცნობის წინააღმდეგ გალაშქრება და მისი გაბათილება?—„თუ ძალით არ მოხერხდა ნებით მაინც შევსძლოთ დაკარგული ვალებისა და ქონების ანაზღაურება“. ასეთი იყო დღემდი მათი იმედები. დღეს ეს იმედიც უცრუვდებათ. აი რატომ არიან განრისხებულნი კერზონი და მისი თანამოაზრეები.

მათი დაწვრილებითი ანგარიში რომელიც ათ მილიარდამდე ოქროს მანეთით განისაზღვრება ჰაერში დარჩება. კონტრ-ანგარიში რომელსაც ამზადებს საბჭოთა დელეგაცია მეტად აღელვებს მათ და არ აძლევს მოსვენებას.

ლორდ კერზონი და მისი მოსარჩლეები დარწმუნებული არიან, რომ თავისი ანგარიშებით ისინი ვერას გახდებიან მომავალ მოლაპარაკების დროს. უძლურნი თავის სიბრაზეში ისინი კვლავ ილაშქრებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შემცდარ ნაბიჯათ აღვიარებენ საბჭოთა კავშირის ცნობას, უკმაყოფილებას გამოსთქვამენ საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობით, სახელდობრ მის მდივანზე ამხ. როტშტეინზე, რომელიც კერზონის აზრით „არა კეთილსინდისიერად მოქმედებდა“ ინგლისის წინააღმდეგ სპარსეთში.

ერთი სიტყვით ინგლისის რეაქციონერები კიდევ ერთხელ შეეცადენ საბჭოთა კავშირსა და ინგლის შორის უფლებათა თანასწორობის ნიადაგზე ნორმალურ მეზობლურ დამოკიდებულების დამყარების წინააღმდეგ გალაშქრებას.

მაგრამ კერზონებმა მიიღეს ღირსეული პასუხი მთავრობის წარმომადგენლისაგან, რომელმაც მათ გამოსვლას უწოდა „ნემსით ჩხვლეტის პოლიტიკა“.

რაც უნდა ბევრი არ იხტუნონ ბატონ კერზონებმა, ისინი ვერას დროს ვერ მიაღწევენ თავის მიზანს.

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

—ე.

რადიო-დეპეშები

— სენატორმა ბორამ შეიტანა სენატში რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია განიარაღებისა და ეკონომიურ საკითხების შესახებ. რეზოლიუციის განხილვის დროს ბორა მოითხოვს ხსრკ-ს მონაწილეობას კონფერენციაზე.

— მოსკოვის „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება“ უკვე შეუდგა საავიაციო გამოფენის ორგანიზაციის საქმეს, გამოფენა გაიხსნება 14 ივლისს.

— კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს 5 ივლისისთვის მოსკოვში კომინტერნის მეხუთე საერთაშორისო კონგრესი.

— სადგურზე „ვესიოლი კუტ“ ბესარაბიიდან გადმოხვეწილმა გლეხებმა გამართეს მრავალ რიცხოვანი კრება, რომელზედაც მოითხოვდენ რუმინეთის ჯარების ევაკუაციას ბესარაბიიდან და მოლდავანთა საბჭოთა რესპუბლიკის აღიარებას.

რუსეთ-რუმინეთის კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგი.

28 მარტს რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის პირველი საქმიანი სხდომა. ორივე მხრივ დელეგაციები შეთანხმდენ გამოაქვეყნონ შემდეგი ცნობა: „პირველი სხდომა მოხდება კრესტინსკის თავმჯდომარეობით. პირობის თანახმად სხდომებზე თავმჯდომარეობას გასწევენ ორივე დელეგაციების თავმჯდომარეები მორიგეობით. კონფერენციამ დაამტკიცა მუშაობის შემდეგი წესრიგი: ტერიტორიალური საკითხები, საფინანსო და ეკონომიური საკითხები, იურიდიული და პოლიტიკური საკითხები დღის წესრიგის პირველი მუხლის მიხედვით ორივე დელეგაციებმა წაიკითხეს დეკლარაცია.

გაშლილი ფრონტით.

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია

მუშაობის წესრიგის შემუშავების დროს რუსეთ-რუმინეთის კომფერენციაზე, 28 მარტის სხდომაზე რუმინეთის დელეგაციამ პრინციპიალური თანხმობა განაცხადა დღის წესრიგზე, რომელიც წამოყენებული იყო საბჭოთა დელეგაციის მიერ. მაგრამ მაინც განაცხადა, რომ ბესარაბიის საკითხი არ შედის დისკუსიაში წესრიგის პირველი მუხლის მიხედვით, ვინაიდან ის გადაწყვეტილია უკვე რუმინეთის მიერ. ამ განცხადების საპასუხოდ კრესტინსკიმ წაიკითხა დეკლარაცია:

რუმინეთმა ძალად დაიპყრო ბესარაბია.

„საბჭოთა მთავრობა არ ყოფილა თანახმა ბესარაბიის რუმინეთთან შეერთებისა, როდესაც მან **1918 წ.** გადასინჯა ბესარაბიის ოკუპაცია რუმინეთის ჯარების მიერ, როგორც ამ ოლქის ძალად დაპყრობა. რუმინეთის მთავრობის არგუმენტები, თითქოს ბესარაბია წინათ რუმინეთს ეკუთვნოდა, არ არის სწორი, ვინაიდან მიწები, რომლებიც შედიან დღევანდელ ბესარაბიის შემადგენლობაში, იმყოფებოდა ოსმალეთის უფლების ქვეშ 1812 წლამდი, ე. ი. სანამ რუსეთს შეუერთდებოდა. რუმინეთი კი რამოდენიმე ათეული წლებით გვიან წარმოიშვა.

რუმინეთის მთავრობა თვით არ იდგა თავიდან იმ თვალსაზრისზე, რომელზედაც დღეს, სდგას ვინაიდან რუმინეთის სარდლობამ, როდესაც 1918 წელში მას ჯარი შეჰყავდა ბესარაბიაში, გამოუცხადა მოსახლეობას, რომ ჯარების შეყვანას დროებითი ხასიათი აქვს.

ქვევით: რუმინეთის მთავრობასთან შეთანხმებით დიპლომატიური კორპუსის მამასახლისმა რუმინეთის სასახლესთან აცნობა იტალიის კონსულს ოდესაში რუსეთის რევოლიუციონურ ჯარების სარდლობაზე გადასაცემად რომ რუმინეთის ჯარები შეყვანილ იქნა ბესარაბიაში იმ მიზნით რათა უზრუნველ ყოფილიყო სურსათი მომარაგება რუსეთის და რუმინეთის ჯარების და მოსახლეობისა.

ბოლოს თვით რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ავარესკუმ 1918 წლის მარტში, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთან რაკოვსკისთან და რუმინეთის ფრონტისა და ოდესის ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის ძალით ის ივალებდა რუმინეთის მთავრობის სახელით გაეწმინდა ბესარაბია რუმინეთის ჯარებიდან ორი თვის განმავლობაში“

დეე, ბესარაბიის საკითხი გადაწყვიტოს თვით მოსახლეობამ.

ქვემოდ, დეკლარაციაში ნათქვამია. რომ ძირითადი პრინციპი, რომელზედაც აგებულია ერთა შეთანხმებული ცხოვრება ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, არის ერთა თვითგამორკვევის უფლება. საბჭოთა კავშირის მთავრობა ფიქრობს, რომ ბესარაბიის მოსახ-

ლეობამ თვით უნდა გადასწყვიტოს სურს თუ არა მას დარჩეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, შეუერთდეს რუმინეთს თუ იარსებოს როგორც დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფომ.

რუმინეთის მთავრობის მითითება იმაზე, რომ ასეთ ნებასურვილის გამოცხადებას უკვე ჰქონდა ალაგი, ვინაიდან საკითხი ბესარაბიის შეერთების შესახებ საბოლოოდ გადაჭრილია „სტატულ ცერიის“ დადგენილებებით 1918 წლის 27 მარტიდან და 27 ნოემბრიდან,—ესეც არ არის მართალი.

„სტატულ ცერიის“ დადგენილება 1918 წლის მარტში და ნოემბერში მიღებული იყო რუმინეთის ოკუპაციისა და სამხედრო ტერორის დროს ბესარაბიაში. „სტატულ ცერიის“ სხდომებზე ესწრებოდენ რუმინეთის შეიარაღებული ჯარები. ასეთ პირობებში საჭირო იყო დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა მარტო იმისთვისაც კი, რომ თავი შეეკავებიათ რუმინეთის სასარგებლო წინადადების ხმის მიცემისაგან.

რუმინეთის მთავრობამ ის ვერ მიაღწევდა „სტატულ ცერიიდან“ სასურველ გადაწყვეტილებას. ამიტომ, როცა „სტატულ ცერიამ“ მიიღო გადაწყვეტილება ბესარაბიის შეერთების შესახებ რუმინეთთან, ის საჩქაროდ გაშვებულ იქნა მეფის ბრძანებით.

ბოლოს, საბჭოთა კავშირის თვალსაზრისით, არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს შეთანხმებას რომელიც ხელმოწერილ იქნა 192 წელში პარიზში, რუმინეთისა და შეთანხმების სახელმწიფოების მიერ, ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ, ვინაიდან არავითარი მონაწილეობა არ მიუღია შიგ საბჭოთა კავშირს და უკრაინას. საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა, როგორც რუმინეთის მთავრობის განცხადების, აგრეთვე პარიზის შეთანხმების წინააღმდეგ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბესარაბიის საკითხში ის არ სდგას ისტორიულ უფლებების თვალსაზრისზე ბესარაბიის მიმართა. საბჭოთა მთავრობა არ სცდილობს ბესარაბიის დაჭერას საბჭოთა კავშირში, მაგრამ მას სერიოზული საფუძვლები აქვს იფიქროს, რომ ბესარაბიის მოსახლეობის უმეტესობა შეწუხებულია ფაქტიურად რუმინეთის ბატონობის ქვეშ. რუმინეთის მთავრობა, რომ ყოფილიყო დარწმუნებული წინააღმდეგში, მაშინ მას ვერ ჩააფიქრებდა პლებისციტის შედეგები და არ გაექცეოდა მას. ამის გამო საბჭოთა კავშირის დელეგაცია იმედოვნებს, რომ რუმინეთის მთავრობა ამ მხრივ არ გაუწევს წინააღმდეგობას ამ წინადადებაზე.

დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, კრესტინსკიმ წინადადება მისცა რუმინეთის დელეგაციას გადასინჯოს თავისი პოზიცია ტერიტორიალური საკითხის გარჩევის დროს. 29 მარტის კონფერენციის სხდომაზე, რომელზედაც რუმინეთის დელეგაციას უნდა მიეცა პასუხი საბჭოთა დელეგაციის დეკლარაციისათვის პლებისციტის შესახებ, მიღებულ იქნა სხდომის გადადების წინადადება 31 მარტისთვის.

სასწორი საბჭოთა დელეგაციის მხარეზე იხრება.

საქმესთან ახლო მყოფ წრეებში ფიქრობენ, რომ რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის პირველ სხდომაზე წამოყენებულ იქნა მეტად ნამდვილი სადაო საკითხები. საერთო აზრით, რუმინეთის დელეგაციის მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელია. პლებისციტის მოთხოვნილება, რომელიც წამოაყენა საბჭოთა დელეგაციამ მეტად მძიმეა რუმინეთის დელეგაციისათვის. ინიციატივა სავსებით იმყოფება საბჭოთა დელეგაციის ხელში, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს მოლაპარაკების მსვლელობა.

მოლაპარაკების შედეგთან დამოუკიდებლად, დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ვენის კონფერენციამ საგრძნობლად გაამაგრა საბჭოთა კავშირის პოზიცია ბესარაბიის საკითხში.

ერთობ იკბინებიან.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა პრესამ გამოაქვეყნა ჩიჩერინის პირველი დეპეშა, რომელიც გაგზავნილი იყო პუანკარესთან ბესარაბიის შესახებ, და პუანკარეს პასუხი. ჩიჩერინის მეორე დეპეშა პუანკარესთან ბესარაბიის შესახებ და ჩიჩერინის პასუხი პუანკარესადმი არ არის გამოქვეყნებული.

როგორი შეთანხმება მოელოდნებოდა რუმინეთის დელეგაციას.

რუმინეთის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევა შეიძლებოდა შემდეგ საფუძვლებზე.

რუმინეთი სცნობს საბჭოთა კავშირს იურიდიულად, უარს ამბობს თავის ოქროს ფონდის ნაწილზე, რომელიც იმყოფება მოსკოვში და ოქროს მარაგის ნაწილისა ანაზღაურებაზე, რომელიც ეკუთვნიან, კერძო პირებს და თანახმაა დასდოს სავაჭრო ხელშეკრულება უდრეს კეთილ განწყობილურ პრინციპზე.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი სცნობს ბესარაბიის შეერთებას რუმინეთთან.

საბჭოთა კავშირი.

საავიაციო გამოფენა.

მოსკოვის „საჰაერო ფლოტის საზოგადოება“ შეუდგა საავიაციო, გამოფენის მოწყობის საქმეს. გამოფენა გაიხსნება ავიაციის დღესასწაულის დღეს—14 ივლისს.

ცსკ—ს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სკ—ის საქმიანობა.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის სხდომაზე, ამხ. კუიბიშევმა მოხსენებაში ცენტრი საკ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის საქმიანობის შესახებ, განაცხადა, რომ დღეს განსაკუთრებით მწვავედ სდგას ცენტრალურ საკონტროლო კომისიის კავშირის საკითხი ფართე მუშათა მასებთან. სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციების მხრივ დახმარების უზრუნველსაყოფად ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ აწარმოა კამპანიები პროფკავშირთა შორის, დამხმარე უჯრედების ამოცანების და მათი დაწესებულებებთან ურთიერთობის პოპულიარიზაციის მიზნით.

კომინტერნის მეხუთე საერთაშორისო კონგრესი.

კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს 5 ივნისს მოსკოვში კომინტერნის მე-5-თე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის წინ მოხდება კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი 25 მაისს.

გვალვის საფრთხე.

მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიის ცნობით, ზაფხულში მოსალოდნელია გვალვა, უმთავრესად სამარის გუბერნიაში და ბაშკირთა რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში. ასეთი ამინდები მოსალოდნელია აგრეთვე სიმბირსკის გუბ. აღმოსავლეთ ნაწილში და პენზის, ვიატკის, ყაზანის და უფის გუბერნიების აღმოსავლეთ ნაწილებში.

ბრძოლა წყალდიდობის წინააღმდეგ უკრაინაში-

,,გოსპლანის‘‘ პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო გადასდოს უკრაინის რესპუბლიკისათვის 400.000 მანეთი, რათა თავიდან აცილებულ იქნას წყალდიდობის მიერ მოსალოდნელი ზარალი, რომელიც უქადის უკრაინის მთელ რიგ კუთხეებს.

პატენტის პროექტის გამოგონებაზე.

,,გოსპლანის‘‘ პრეზიდიუმმა დაამტკიცა პატენტის პროექტი გამოგონებაზე. პატენტით სარგებლობის საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 15 წელს.

საქონლის გაზიდვა აზიის საზღვარზე.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში აზიის საზღვრიდან გაზიდულია საქონელი, ღირებული 3 ნახ. მილიონ ოქროს მანეთად.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში

ახალი კაბინეთი საფრანგეთში

ლუშერის მთავრობაში მონაწილეობა მოწმობს ახალი საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შესაძლებლობას საერთაშორისო შეთანხმების მხარეზე. ყოფილ საშინაო საქმეთა მინისტრის მანურის გადადგომა ნიშნავს მემარჯვენეთა დათმობას და იწვევს მემარცხენეთა უკმაყოფილებას.

ლუშერისა და დეჟუვენელის დანიშვნის მიზანია, როგორც სჩანს, რესპუბლიკანელთა დამშვიდება.

კონსერვატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსერვატორების ინტერესები შეილახა. „იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობის საშინაო პოლიტიკა ძველებურად მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ; საგარეო პოლიტიკაში შესაძლებელია, რომ მთავრობა გაატარებს უფრო მშვიდობიან ხაზს.

მინისტრთა ახალი საბჭოს პირველი სხდომა.

მინისტრთა ახალი საბჭოს პირველ სხდომაზე დადგენილ იქნა: პალატის მიერ ბიუჯეტის მიღების შემდეგ დაშვებულ იქნას დისკუსია და შეკითხვები მთავრობის საერთო პოლიტიკის სფეროში.

საშინაო საქმეთა მინისტრმა დესელვმა განაცხადა, რომ მინისტრები დასთანახმდენ განაგრძონ წინა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

ინგლისი.

ტრამვაის მუშათა გაფიცვები

მოლაპარაკება ტრამვაის მუშათა გაფიცვების გარშემო გრძელდება. მესაკუთრეები თანახმა არიან მოუმატონ სამუშაო ხელფასი ყველა მოსამსახურეებს 5 შილინგით და გადასცენ 3 შილინგის მომატების საკითხი საარბიტრაჟო სასამართლოს გასარჩევად. ელექტრო მრეწველობის კავშირმა აცნობა მთავრობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი მოინდომებს დააყენოს შტრეიკბეხერები მიწის ქვეშ რკინის გზაზე სამუშაოდ, მაშინ მოახდენენ ელექტრო სადგურების გაფიცვებს.

უკრაინის წითელ პარტიზანების ბრძოლიდან 1919 წ. ელისავეტგრადში.

(მოგონება)

მესამე არმიის რევსაბჭო და სარდალი ხუდიაკოვი მესამე სადგურში დაგვხვდა, გზაში ჯერ ატამან ტკაჩენკო თავისი ბრიგადით და პეშეხონოვი თავისი დივიზიით შეგვხვდა. ატამან ტკაჩენკოს კარგად ვიცნობდი, პეშეხონოვს არა. პეშეხონოვიდან მივიღე ისეთი შთაბეჭდილება, რომ ესეც მოღალატე იყო და ამ დივიზიით თუ მას საშვალება მიეცემოდა გრიგორიევისკენ გადავიდოდა. პეშეხონოვმა საუბრის დროს მიჩვენა გრიგორიევის დეპეშა და წერილი, რომელიც მას პირდებოდა სამხედრო მინისტრობას უკრაინაში გაბატონების შემდეგ.

კავალერიის კომანდირ პავლოვსკისაც ღალატი ემჩნეოდა და რაღაც უკმაყოფილება. ასე რომ ღალატი ღალატზე, ყოველგან და ყველასაგან ავანტიურა. აი რა დღეები და თვეები იყო მაისის და ივნისის თვეში 1919 წ.

როდესაც რევსამხსაბჭ. ინფორმაცია მოისმინა, წინადადება მოგვცა რამდენიმე ამხანაგებს, რომ გრიგორიევის წინააღმდეგ მიმავალ ჯარს გავყოლოდით.

რევსაბჭო კი ოდესაში დაბრუნდა. პირველ სადგურში ამ ჩვენ საიმედო ჯარს მიტინგი გაუმართავს, რადგან ატამან გრიგორიევს დელეგაცია გამოუგზავნია ჩვენ ძმები ვართ და სისხლს ნუ დავღვრითო. მიტინგზე გამოდიან მატროსები, აგრეთვე ესერების დელეგატები გლეხები და ჯარის გრიგორიევის მხარეზე გადაყვანას ლამობდნენ. ჯარი უსმენდა და ტაშს უკრავდა.

ამხანაგებმა მირჩიეს მეც ავსულიყავი და მეთქვა რამე, თორემ სადაც იყო ჯარი უკვე შეუდგებოდა ამხ. დაპატიმრებას. მაგრამ ვინც ადიოდა ტრიბუნაზე, თუ გრიგორიევის წინააღმდეგ რამეს იტყოდა—ძირსო უძახდნენ. სიტყვა ისე უნდა გაგეწყო, რომ ძირს არ ჩამოეგდე. არავითარი შვილი მოლაპარაკე არა ვარ, მაგრამ გაჭირვებამ ამალაპარაკა. Товарищи, უთხარი, —тут говорили предыдущие ораторы что Комисары и коммунисты разъезжают в салон вагонах и пьянствуют, если это верно, таких комисаров нужно строго наказать, такие комисары наши враги. Еще говорят, что у Власти все евреи. Хочу вам привести пример, что тут не все правда и хотят вас натравить против советской власти. Возьмем для примера Елисаветградский исполком: из 25 членов—20 украинцев и кацапов, 4 еврея и один грузин. Это я. Может ли быть такой состав исполкома? ჯარმა იყვირა „Это можно“. ამის შემდეგ საქმე რათქმა უნდა გამოსწორდა და სიტყვა გაგრძელდა.

მიტინგი დაიშალა, რეზოლიუცია გრიგორიევთან შეერთების შესახებ ვეღარ გამოიტანეს.

საღამოს წამოსვლა დავაპირეთ მაგრამ, კავალერიის უფროსმა მითხრა შენი წასვლა არ შეიძლებაო. არ შევამჩნიე, ვითომც არც საჭირო იყო წასვლა, რადგან სჩანდა რომ არაოფიციალურათ დაპატიმრებული ვიყავი და უნდა შევეეჩრია გაპარვის დრო რათა ეს ამბავი უკან მდგომი ჯარისთვის გვეცნობებია და ამ ჯარის წინააღმდეგაც ზომები მიგვეღო. პირდაპირ მავთულზე რევსაბჭო მეკითხებოდა თუ როგორ იყო საქმე ჯარის და სულიერი განწყობილება, რადგან გვერდში გზ-რები იყო და ეს ვითომდა „საბჭოთა კომანდირები“ არ მშორდებოდენ და მითვალთვალებდენ უპასუხე: საქმე კარგათაა.

საღამოს ერთი წითელი კომანდირი და ვოზნესენსკი პოლკის უფროსის თანაშემწე ტ მე გავიპარეთ, ვაგზლის კომენდანტი კომუნისტი აღმოჩნდა და გაგვაპარა.

როდესაც შტაბს ასეთი ინფორმაცია მივეცით, რომ თქვენს მიერ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარიც გვღალატობსთქო გადაწყდა ჯერ ამ ჯარის თავდასხმა და გაფანტვა და მემრე გრიგორიევის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს სისრულეში იქნა იმავე დილით მოყვანილი და მესამე დღეს ელისავეტოგრადი ისევ საბჭოთა ხელისუფლებას დაუბრუნდა. ქალაქში ასობით ეყარა დახოცილი ებრაელები და სისხლის მორევი იყო. პაგრომი ახლად დათავებული იყო. სახლებში სადაც ტანჯული ებრაელები ემალებოდათ გამხეცებულ გრიგორიევის ჯარს ბომბებით ამოეწყვიტათ მშვიდობიანი მცხვრებნი. ქალაქი გაძარცული და აოხრებული. გრიგორიევის ჯარი ყოველ მხრიდან დამარცხდა იმის იმედით, რომ მათ ადრე მახნო მიეშველებოდა თავისი ბრიგადით არ გამართლდა. სიძლიერისათვის ხმებს ავრცელებდენ, რომ თითქოს მაშინ მახნოს ჯარიც მათთან იყო, მაგრამ ეს არ იყო მართალი, მახნომ და გრიგორიევმა თავიანთი ავანტიურა ერთად ვერ შეუფარდეს და გრიგორიევი მაშინ განმარტოებული დარჩა. გრიგორიევის გამოსვლამ მწარე ტკივილები მიაყენა უკრაინის საბჭოთა ხელისუფლებას.

რუმინიის საზღვარზე მყოფი ჯარების მოხსნა და მთელი კომუნისტური ძალების გამოყვანა საჭირო შეიქმნა ამ აჯანყების ჩასაქრობათ. ეს წელი უკრაინაში უმოწყალო სისხლის ღვრის წელია. ბალტა, გოლტა, ელისავეტგრადი და სხვა დაბა ქალაქები სასაფლაოთ გადააქცია ჯერ პეტლიურამ და მემრე გრიგორიევმა, რომელთაც დღეს წყევლა კრულვით და ზიზღით იხსენიებს უკრაინის გლეხობა.

(დანარჩენი სხვა დროს)

თენგიზ ჟღენტი

ჩვენი წითელი ჯარი

ცალკე საკავშირო ასეული.

კვირა.
30 მარტი.

შესდგა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა წითელ-არმიელნი, უფ და პოლიტიკური შემადგენლობა.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ქართველიშვილი — მდივნად ამხ. ნემსაძე.

დღის წესრიგში იყო:

1. დამხმარე ჯგუფის („რკი“) 4 თვის მუშაობის შესახებ.
2. არჩევნები „რკის“ ახალი წევრებისა.
3. მოხსენება საჰაერო ფლოტზე.
4, მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. საპანაძემ, რომლის ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი და შეკითხვები.

„რკის“ წარსული მუშაობა ხმის დიდი უმრავლესობით დამაკმაყოფილებლად სცნეს და გადავიდენ არჩევნებზე.

არჩეულ იქნენ წევრებად შემდეგი ამხანაგები:

1. მთვრალაშვილი.
2. ბარკოვი.
3. კერესელიძე.

კანდიდატებად:

1. აბულაძე.
2. რაშეპკინი.
3. თაბაგარი.

საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. საპანაძემ, მოკლეთ დაახასიათა ფლოტის მნიშვნელობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის და მოუწოდა დამსწრეთ, რათა ყველა ჩაეწეროს „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში“ წევრებად და შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ დიად სასარგებლო საქმეში.

დასასრულ იქნა გამოტანილი შესაფერისი რეზოლიუცია, და რადგანაც მიმდინარე კითხვები არ აღმოჩნდა — კრება დაიხურა.

ს — ნ.

26 მარტი ცალკე მესანგრე ასეულში.

ცალკე მესანგრე ასეულის ეზოში 26 მარტს საღ. 7 ს. შეიკრიბნენ 1-ლი ლეგიონის ახლო მახლო ნაწილების წით. არმიელები და ახლო უბნის მუშები, სადაც გამართეს ცეკვა და სიმღერები საღ. 8 ს. ყველანი შეიკრიბნენ ც. მ. კლუბში, სადაც ლენინის უბნის მუშებმა გამართეს საღამო.

წარმოდგენილი იქნა „ქრისტინე“ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ამხ. ბ. ლითანიშვილმა და ამხ. პ. ჭელიძემ წით. არმიელების სახელით მადლობა გამოუცხადეს ლენინის უბნის მუშებს, წ. არმიელებისადმი ასეთ მოპყრობისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლენინის უბნის მუშათა დრამატიული დასის თავმჯდომარემ ამხ. ლ. აზრუმელაშვილმა, რომელიც დაგვპირდა ჩვენს კლუბში ხშირად წარმოდგენების დადგმას და ჩვენთან უფრო მჭიდრო კავშირის დაჭერას.

ჩვენი გულწრფელი მადლობა ამხ. მუშებს, რომლებიც ასე გულთბილად ეკიდებიან ჩვენი განვითარების საქმეს.

ვ. მეგრელიშვილი

კომუჯრედის მდივნების მომზადება.

როგორც ამხ. ს. ლომიძე და შალიკო სწერენ (წ არ. № 448 და 459-ში) უდაო რომ ამხ. წითელ-არმიელები (პარტიულები) საჭიროებენ კომუჯრედის მდივნებათ მომზადებას.

ქართულ დივიზიაში ამ გვარი კურსების დაარსების საკითხი პირველად ისმება. ჯერ-ჯერობით ნაწილებში ასეთ კურსების დაარსება ან პარტ-წრეზე დავალება ამგვარი კადრის მომზადებისა ნაადრევათ და მიზან შეუწონელათ მიმაჩნია. თუმცა პროგრამა ხელთ არა მაქვს მაგრამ იმ საქმეების მიხედვით, რომელსაც ვაწარმოებთ კომუჯრედებში, ეს საქმე (მდივნობა) რთული და საპასუხისმგებლოა, იმდენად რომ არამც თუ პოლიტ-წრის ხელმძღვანელი, არამედ მოზრდილი ნაწილი მთელი თავისი ძალებით ვერ შესძლებს ამ საქმის შესაფერისად მოგვარებას. შეიძლება ზოგიერთ ნაწილის უჯრედის და ბიურო კოლექტივის მდივნები კარგათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ამ დარგის ხელმძღვანელების მომზადება თეორიულათ და ტეხნიკურადაც შეუძლებელია. ზედმეტია ლაპარაკი ამ საქმის გარეშე მდგომ პირებზე, სამხკომებზე, წრეების ხელმძღვანელებზე, ბიბლიოთეკა-კლუბის გამგეებზე და სხვ. ვერც პოლიტ-განყოფილება შესძლებს ამ მიზნით ყველა ნაწილებში დაგზავნოს შესაფერისი ლექტორები.

ამხ. შალიკო შიშობს, რომ არჩევითი წესით მოვამზადოთ წ.-არმ. და შემდეგ იქნება ისინი არ აირჩიონო, ეს უბრალო კითხვაა, რომლის მოგვარებას შესძლებს ყველა ნაწილი, როდესაც რომელიმე კომუჯრედი გზავნის თავის წევრს ასეთ საქმეზე ის წინასწარ ითვალისწინებს გამოსადეგია თუ არა ის ამ საქმისათვის და როცა დაბრუნდება მომზადებული თავის ნაწილს, უდაოა მას აირჩევენ. კიდევ შეიძლება (ტფილისში მყოფ ნაწილებზე) არჩეულ იყონ კომუჯრედში, ასრულებდენ მდივნის მოვალეობას და კურსებზე სწავლობდენ. მოსაზრებაა რომ ერთ მიზანშეწონილ საქმიდან შეიძლება მივიღოთ საგრძნობი ნაყოფი, სუსტ-საქმიდან კი არაფერი. ვგონებ უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ პირველ გამოძახილზე დაარსდეს დივიზიის მაშტაბით სემინარი მოხდეს რამოდენიმე გამოშვება, შემდეგ კი ყველა ნაწილებში დაარსებაზე ბუნებრივათ დაისმება კითხვა და ნიადაგიც მომზადებული ექნება დღევანდელთან შედარებით.

ბ. ცომაია.

კიდევ კომ-უჯრედების მდივნების სემინარის შესახებ.

გაზეთ „წით. არმიელის“ მე-459 №-ში მოთავსებულია წერილი ამხ. შალიკოსი კომუჯრედების მდივნების სემინარის დაარსების შესახებ, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა დაარსდეს ქ. დივიზიის პოლიტ-განყოფილებასთან.

ამხ. შალიკო თავის წერილში ამბობს, რომ აღნიშნული სემინარი დაარსებულ უნდა იქმნას არა პოლიტ-განყოფილებასთან, სადაც კურსის გასავლელად გამოწვეულნი იქნებიან ნაწილებიდან საჭირო რიცხვი პარტ-ამხანაგებისა, არამედ ადგილობრივად ნაწილებში, სადაც კურსის გავლა პარტიული დისციპლინის ძალით სავალდებულო იქნება ყველა რიგის პარტ-ამხანაგისათვის.

ჩემის აზრით ამხ. შალიკოს ასეთი წინადადება სრულიად მიზანშეწონილი და სამართლიანია: ყველა ნაწილებში დაარსდება ასეთი სემინარები სადაც ყოველივე პარტ-ამხანაგს საშუალება მიეცემა გაიაროს კურსი და შესძლოს ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუჯრედის მუშაობას, რომლებიც დღეს-დღეობით ჩვენს ნაწილებში ძალიან ცოტა მოიპოვება. თუ კი სემინარი დაარსებულ იქნება პოლიტ-განყოფილებასთან, იქ მივლენილნი იქნებიან ნაწილებიდან ამხანაგები, რომლებიც კურსის გავლის შემდეგ სულ ადვილი შესაძლებელია ნაწილის პარტ-ამხანაგებმა არამც თუ კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივნებად, არამედ პრეზიდიუმის წევრებათაც აირჩიოს, ვინაიდან დებულება ამის შესახებ თვითეულ ჩვენგანმა კარგათ იცის.

შესძლებს თუ არა ნაწილის პოლიტ-შემადგენლობა აღნიშნული სემინარის ხელმძღვანელობას? მე სრული დარწმუნებული ვარ შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ მას პოლიტ-განყოფილება მიაწვდის სათანადო დირექტივებს და ხელმძღვანელებს.

ასათიანი.

„მეცნიერების ტაძართა მომუშავენი“

ქ. თფილისში თითქმის ერთი წელია რაც არსებობს მეცნიერების ტაძართა მომუშავეების საბჭო. (ე. ი. საბიბლიოთეკო საბჭო), რომელსაც სათავეში უდგას ამავე ტაძრის ინსტრუქტორი ამხ. მურადოვა. უნდა გულ ახდილად ითქვას, რომ მისი შრომა დაუფასებელია ამ დარგში რად განაც ის იჩენს დიდ ენერგიას, ზემოხსენებული ტაძრების, როგორც კულტურულად ისე მატერიალურად აღორძინების საქმეში. მის მიერ იქნა დაარსებული ბიბ-საბჭო, რომელიც ჩუმათ აკეთებს ბევრ კარგ საქმეს. წარსულს თავი დავანებოთ და მათი ახალი მუშაობიდან ერთი მაგალითი მოვიგონოთ, რომელიც დიდი ფაქტორთაგანია კულტურულ დარგის აყვავების და მშრომელი მასსის განვითარებისათვის. 22 მარტს შესდგა ჩვეულებისამებრ მეცნიერების ტაძრის მომუშავების სხდომა. სხდომის შემდეგ დარჩნენ სარედაქციო კოლეგიის წევრები, რადგანაც წინა კრებაზე იქნა გადაწყვეტილი რომ ქ. მ. დ. ბიბ-საბჭოს მიერ იქნას გამოცემული კედლის გაზეთი. კოლეგიამ გახსნა სხდომა, სხდომამ დაადგინა პირველი ნომერი გამოიცეს დიდი ფორმატის 15 აპრილისათვის, რომელიც უნდა იქნას მაგალითის მაჩვენებელი, როგორც ფორმის და მხატვრობის აგრეთვე თავის შინაარსით დივიზიის სხვა კედლის გაზეთებისათვის, გაზეთი თვეში გამოვა ერთხელ სახელწოდებით „ბიბლიოთეკის მოამბე“.

ამისათვის სარედაქციო კოლეგია აცხადებს მეცნიერების ტაძართა მომუშავეებს და მის მეგობართა საყურადღებოთ, რათა ყველა ზემო ხსენებულმა პირებმა მიიღონ უშუალო მონაწილეობა ამ დიად საქმეში. მოგვაწოდონ წერილები სხვა და სხვა სახი, მოთხრობები, ბიბლიოგრაფიები, იუმორისტული ნაწარმოები, ლექსები და სხვა. მხოლოდ მარტოდ მარტო საბიბლიოთეკო ხასიათის. სარედაქციო კოლეგია სთხოვს თფილისში მდგომ ჯ. ნაწილების გარდა რომ იმათაც მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში.

(რედაქციის მისამართი) ქ. თფილისი სასახლის ქ. № 5 ქ. მ. დ. ბიბლიოთეკა სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს კ. ლორთქიფანიძეს.

სარ. კოლ. წევ. **სევდიშვილი.**

კლუბის მუშაობა.

ჩვენი მიზანია მკითხველებს გავაცნოთ ქართველ მეთაურთა სკოლასთან არსებულ კლუბის მუშაობა. აღნიშნულ კლუბში გარდა საზეიმო, სასწრაფო სხდომებისა და პარტიული კრებებისა, რომელთაც უეჭველად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ და იმართება ყოველ კვირაში ერთხელ, — აგრეთვე ხუთი თვის განმავლობაში გამართულა ოცი (20) საღამო-წარმოდგენა, რომელთა შორისაც ერთი საღამო-წარმოდგენა აღნიშნულ სკოლის დრამ-წრეს გაუმართავს კურსანტთა მე-21 სკოლაში... ჩვენს მკითხველებს კარგათ მოეხსენებათ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკლუბო მუშაობას საერთოდ და განსაკუთრებით კი ჯარის ნაწილებში!

თეატრი გაცილებით ძლიერ და ხანგრძლივად მოქმედებს ადამიანზე ვიდრე მოთხრობა და დარიგება; ამიტომ საკლუბო-სათეატრო მუშაობა ჩვენი წითელ ჯარისა და მისი მეთაურებისათვის, როგორც კულტურული იარაღი უეჭველად საუკეთესოა. და ვისაც ჩვენი ჯარის კულტურულ ფრონტზე გამარჯვება აინტერესებს იმისთვის ეს ჩვენი ცნობები ბევრ რამეს ამბობს.

ამ რიგად, ქართველ მეთაურთა სკოლაში ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან დღემდე გამართულა ოცი საღამო-წარმოდგენა, დადგმულა 33 პიესა. ინსცენიროვკები — სულ 53 მოქმედებათ.

აღნიშნული პიესები იყოფა შემდეგ-ნაირად.

სახე:	საგიტაციო.			რევოლიუც. დრამები	კომედიები	სულ.	შენიშვნა.
	სცენები	ბალაგან.	პიესები.				
რაოდ.	3	2	16	6	6	33	ამ რიცხვ. „7“ პიესა კურს. მიერ არის დაწ.

გარდა ამისა გამართულა სამი ლიტერატურული გარჩევა-გასამართლება (1 დრამ-წრისა და ორიც ლიტერატურულ-წრის მიერ)...

მოხსენებ.	საკონ. განყ.	სალიტ. განყ.	საუბ. თეატ. შთაბეჭდ.
5	6	8	7

აგრეთვე კლუბთან (სამკითხველოში) მოწყობილია ხელოვნების წითელი კუთხე დრამატიულ, სალიტერატურო, სამხატვრო და სამუსიკო — განყოფილებით, სადაც ხან-გამოშვებით იმართება საუბრები ხელოვნებაზე...

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ სასწავლებლის კლუბში გამართულ წარმოდგენებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ბევრი ადგილობრივი მცხოვრები და მოწვეული პირი ესწრება... კლუბი 500-ს მაყურებელზე მეტს იტევს. ამხ. კურსანტებიც 500-ზე მეტი არიან. ასე რომ მაყურებელთა საშუალო რიცხვი 500 იქნება. ამ რიგად — აღნიშნულ კლუბის მიერ გამართულ ყველა წარმოდგენებს დაესწრებოდა 500 × 20 = 10.000 ათი ათასი მაყურებელი. არ შევცდებით თუ გარეშე მაყურებელთა რაოდენობას ავიღებთ 1/5-დან 1/4-მდე — საშუალოთ 2.500 კაცამდე... ვფიქრობთ, ეს ცნობა სამხედრო კომისარიატის საკლუბო სექციას გამოადგება.

უნდა შევნიშნოთ, რომ გასული წლის ბოლო რიცხვებში ხელოვნებაზე მოხსენებებს აკეთებდენ ამხ. სოსო გედევანიშვილი და სანდრო ეული, რასაც მიმდინარე წელს ვეღარა ვხედავთ... ეს ნაკლი უეჭველად უნდა გამოსწორდეს!

ამავე კლუბში იმართება კვირაში ერთხელ „კინო“, — სხვათა შორის „მამის მკვლელიც“ უკვე აჩვენეს.

სევ. ხიმშელი.

ახალი ამბები.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 463. მოწინავე წერილში გაგვეპარა კორექტურული შეცდომა.-სწერია: „პროლეტარიატის 'უმრავლესობა წინააღმდეგ წავიდა პენსიების შემცირების პროექტზე“. უნდა იყოს.: „პარლამენტის უმრავლესობა წინააღმდეგ...“

დახმარება ინვალიდებს.

ტფილისის და მისი მაზრის შრომის და ომის ინვალიდებს ყოველთვიურათ ეძლევათ 2069 მანეთი.

— **დახმარება სოფელს.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა გაგზავნოს, სოფლებში მოძრავი კბილის საექიმო, სოფლის მცხოვრებთა უფასოთ აქიმობისათვის.

— **უფასო სადილები.** შრომის კომისარიატის ცნობით უმუშევართა სასადილოების მიერ, თფილისში ფოთში და ბათუმში გაცემულია უმუშევრებზე 180.000 სადილი.

— **კორესპონდენციები.** რედაქციების სახელზე გაგზავნილ კორესპონდენციებს ფ.-ტ. დაწესებულებებში მიიღება 50 პროც. ფას დაკლებით.

— **ქვაფენილების შეკეთება.** ქალაქის აღმასკომმა გადასდო ქალაქში ქვაფენილების შესაკეთებლათ 3.000 მან.

— **სკოლების გახსნა.** ტფილისის პოლიტ განათლებამ გადასწყვიტა

ტფილ. მაზრაში გახსნას ათი სკოლა წ.-კითხვის ცუდათ მცოდნეთათვის.

შემთხვევები.

— **გვამის პოვნა.** 28 მარტს მტკვარზე იპოვეს უცნობ მამაკაცის გვამი. სწარმოებს კვლევა ძიება მისი ვინაობის გამოსარკვევათ.

— **ქურდობა.** 27 მარტს მინკვიცვის ქ. № 25 გაქურდეს ივანე მენთეთაშვილის ბინა წაიღეს 10 ჩერვ. ნივთები.

— **ეტლით მიჰქონდა.** ივანე დულელევს პოვლოვის ქუჩაზე № 7, 28 მარტს მოჰპარა ნივთები, წაეღო ეტლით და კირკის ქუჩაზე იგი დაპატიმრებული იქნა.

— **ქურდობა.** 27 მარტს პასკევიჩის ქ. № 4 გაქურდეს ეფრემ სახლაშვილის ბინა. წაიღეს 60 ჩერ. ნივთები.

ხელოვნება.

დახმარება.

ნიკო გოცირიძის სასარგებლოთ, მისი იუბილეს გამო მთავრობამ გადასდო 1.000 მანეთი, ხოლო პროფკავშირთა საბჭომ 200 მანეთი.

ახალი წიგნი.

იბეჭდება და ჩქარა გასასყიდათ გამოვა რევოლიუც. ლექსთა და მოთხრობათა კრებული „რევოლიუციონური დეკლამატორი“.

კინო სურათი.

დასრულდა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ და „პირველი ნაბიჯის“ კინო ლენტზე გადაღება.

რევოლიუციონერთა სასარგებლოთ.

დღეს, წით. არმ. ცენტრ. კლუბში იმართება დიდი საღამო რევოლიუციონერთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოთ.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა**—ლოენგრინი სობინოვის მონაწილეობით.

— **დრამა**—„მალშტრემის“ — გენერალური რეპეტიცია.

— **სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

— **წით. არმ. კლუბი**—დიდი საღამო.

— **ცირკი**—საღამო წარმოდგენა.

სასოფლო მეურნეობა.

თესლის და ნერგის მოვლა.

თესლი ცივ და მშრალ შენობაში თავდახურულ ჭურჭელში უნდა შევინახოთ, რომ თაგვი ვერ მიუდგეს და სითბომ არ ავნოს.

ხილეულის თესლი, როგორც მაგალითად ვაშლის, მსხლის, ქლიავის ატმის ჰერამის და სხვა. ინახება ყუთებში ან ქოთნებში წვრილ ქვიშაში არეული.

ერთ ნაწილ თესლზე უნდა მოვიდეს სამი-ოთხი ნაწილი ქვიშა.

ასე ინახება დათესვამდე მიწაში არშინის სიღრმეზე.

თესვის დროს უნდა ანგარიში გაუწიოთ ადგილობრივ პირობებს და ისე მოვიქცეთ.

მშრალი თესლის დათესვა უფრო გამოსადეგია დაგვიანებულს, მშრალ ნიადაგზე და ისეთზე, რომელიც ჩქარა ხმება.

თუ ასეთ ნიადაგზე ლამბალი თესლი ჩავყარეთ, ის უცებ დალპება.

მშრალი თესლი ამ საფრთხეს აშორებულია.

აღმოცენებული თესლი ითესება ნესტიან ნიადაგზე, უმთავრესად ჩრდილოეთ მდებარე ადგილებში.

თესლი ლბება იქამდე, ვინემ საკმაოდ არ დაიბერება.

თუ ნამეტანი დავალბეთ, თესლი ლპობას დაიწყებს.

აღმოცენებული თესლის მომზადება შემდეგია: 1. თბილ ოთახში აურევენ ნესტიან სილას და დასველებულ თესლს ან 2. გახვევენ თესლს ძველ კონკებში და ჩასდებენ დანამულ ნახერხში ასეთ თესლს აღმოცენებისთანავე.

ეს იმისთვის, რომ კვირტები ძალიან არ განვითარდეს და თესვის დროს არ დაიმტვრეს.

როდესაც თესლი პირდაპირ მინდვრათ სათესია, აჩქარება არ იქნება, რომ გვიან ყინვებმა, არ მოუსწრონ და მომავალი მოსავალი არ გააოხრონ.

მრავალ წლიანი ბალახოვანი მცენარენი, მაგალითად პიტნა და სხვა. როდესაც სხვა ქვეყნიდან ან ქალაქიდან არის მიღებული, მაშინათვე უნდა გაიხსნას და გაისინჯოს თბილ ოთახში; თითოული ცალი ცალკე უნდა გადირჩეს. არ უნდა ქონდეს გაფუჭებული ფესვები ან ტოტები. თუ გამხმარი ან დამწვარი არის, გაფუჭებული ადგილები მაშინათვე უნდა მოიჭრას.

შენახული უნდა იქნეს გრილ, ცოტათი ნესტიან ადგილას, მაგალითად სარდაფში.

ფესვებს უნდა მიწა მოეყაროს.

შემოდგომით მიღებულ სანერგე მასალის შენახვა სჯობია გაშლილ ჰაერში, ეზოში ფოთლებით ან წიწვიან ხეების შტოებით მოფარებული.

შენობაში სახიფათოა. მცენარეს შეიძლება კვირტები გამოუვიდეს, უსინათლობის გამო დაგრძელდეს, და დასუსტდეს.

გაზაფხულზე, როდესაც ნიადაგზე გადაიტანენ, მცენარე კარგათ ველარ იხეირებს.

მარცვლოვანი ბუჩქების ნერგები; ქოლო, მაყვალი და სხვა დარგვამდე ინახებიან ეზოში, ჩრდილოეთში ან სარდაფში.

გარეული საძირეები ინახებიან ისე როგორც მარცვლოვანი მცენარენი.

ახალგაზრდა საძირეები, როგორც მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარენი.

სარგავ ხეებს, რომლებსაც შემოდგომით არ რგავენ და ინახვენ გაზაფხულისთვის, აწყობენ თხრილში, ნახევრად დაწოლილ მდგომარეობაში და აყრიან მიწას.

გაზაფხულზე რგავენ, როდესაც ნიადაგი გათბება მაგრამ კვირტები არ გაიღვიძებენ.

ბ.

•ყუმბარა•

2 ლეგ. სამხკორებს.

(მეგობრული)

კარგია ზღვისპირს, უსაქმოდ,
ბუზების ჭერა,
სიზარმაცეს აბა რა სჯობს?—
რაშო და რე-რა!..

შეხე! ზღვის ლურჯ-თვალა ზვირთებს
ნისლი ვით ჰბურავს..,
ბიჭოს!.. იხვი! აბა თოფი!—
აგერ სად სცურავს!..

გაზეთ „წითელ არმიელში“
წერილს არა ვწერთ? —
რა ვქნათ! —ბულვარზე გოგოებს
ისე კარგა ვმზერთ!..

რა საჭიროა იცოდნენ:
აქ თუ რა ხდება?
განა ამით, ჩვენი საქმე,
ვითომ წახდება?!

ამბობენ: რად ჩამორჩითო
სხვა სამხკორებსა?
არავინ ყური არ დაუგდოთ
ასეთ ჭორებსა!..

რომ არა ვსწერთ—ამისათვის
ვართ დასაწუნი?!
ისეც კაი ბიჭები ვართ—
ტრან ნი, ნა ნუ-ნი!..

დაშნა.

ქართულ დივიზიის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

დეზერტირის საქმე.

28 მარტს სამხედრო რევტრიბუნალმა გაარჩია 1-ლ ლეგიონში ამავე ლეგიონის წით. მოლაშქრის არსენ ალექსის ძე გიგოლაშვილის საქმე. ბრალდებოდა დეზერტირობა. აღნიშნული ბრალდება რევტრიბუნალმა დამტკიცებულად აღიარა და ამიტომ მიუსაჯა 8 თვე გამასწორებელი სახლი და 5 მ ნეთის ქონების ჩამორთმევა.

სახაზინო ქონების გაფლანგვისა და დეზერტირობისათვის.

1-ლი ქართული ლეგიონის წით. მოლაშქრეები: გიორგი ამბროსის-ძე ღვდელიაშვილი, ავეტიკ ოვაკიმის-ძე ავაკიანცი და გრიგოლ კონსტანტინეს-ძე კაკაბაძე ითვლებოდნენ დეზერტირებად და გარდა ამისა ბრალდებოდათ კიდევ სახაზინო ქონების გაფლანგვა.

28 მარტს რევტრიბუნალის მიერ გაირჩა მათი საქმე. დეზერტირობისათვის მიუსაჯეს სამ-სამი წელიწადი გამასწორებელ სახლში მოთავსება და 30-30 მანეთის ქონების ჩამორთმევა.

სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის კი მიესაჯათ თითო წლით გამსახლი.

რევტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში ბრალდებულთა სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობითი სასჯელით, ხუთ-ხუთი წლის ვადით და კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

— — —

გასარჩევი საქმეები.

— **დეზერტირის საქმე.** დღეს, 1-ლ აპრილს რევტრიბუნალი გაარჩევს 1-ლი ლეგიონის წითელ არმიელ აპოლონ ნიკურაძის საქმეს. ბრალდება წარდგენილია თანახმად 211 მუხლისა (დეზერტირობა).

— **კაპელაშვილის საქმე.** დღეს, რევტრიბუნალი შეუდგება მიხეილ კაპელაშვილის საქმის გარჩევას ადგილობრივ ნაწილში (1-ლ ლეგიონში) ბრალდება: უფროსების ბრძანების შეუსრულებლობა, კანონიერად გაცემული ბრძანებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ხულიგანობა.

მეცნიერება და ტექნიკა

სახამებლის ხელოვნურად მიღება.

აქამდე მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერებულ ცდებს აწარმოებდენ სახამებლის—„კრახმალის“ ხელოვნურად მიღებისათვის ანუ ისეთი წესით, როგორც ის მზადდება ბუნებაში, სასურველ შედეგებს ვერ აღწევდა. მეტად საინტერესოა სახამებლის გაჩენის პროცესი ბუნებაში. უმთავრესი წყარო ამ შემთხვევაში მცენარეებია. აი როგორ ჩნდება ის: მცენარეების ფოთლები ჰაერის საშვალებით ჭყლაპავს ე. წ. ნახშირ მჟავა გაზს, რომელიც შესდგება ნახშირისა და ჟანგბადისაგან. შემდეგ ჟანგბადი ისევ გამოდის ფოთლებიდან, ხოლო ნახშირი რჩება, უერთდება ფოთლებში ყოველთვის არსებულ წყალს და ამნაირად ჩნდება სახამებელი, რომელიც თავის თავად შესდგება, ნახშირისა, ჟანგბადისა და წყალბადისაგან. მაგრამ საინტერესოა ერთი. სახამებელი მხოლოდ მაშინ ჩნდება ფოთლებში ზემოხსენებულ წესით, როდესაც მცენარის ფოთლები განათებულია მზის სხივებით და ისინი ყლაპავენ ამ სხივების ნაწილს. მაშასადამე უმთავრეს როლს აქ თურმე თამაშობს მზის სხივები.

მაგრამ საჭირო იყო იმის გამორკვევა, მთლიანად მზის ჩვეულებრივი თეთრი სხივები იყო ამისთვის საჭირო თუ მისი რომელიმე შემადგენლობა. (მზის სხივები სპექტრად დაშლის დროს იძლევიან სხვა და სხვა ფერ სხივებს). მეცნიერ მურიმ და ვებსტერმა გამოარკვიეს, რომ სახამებლის შექმნის პროცესის დროს ბუნებაში მონაწილეობას ღებულობს თურმე ე. წ. ულტრა იის ფერი სხივები, რომელიც სპექტრში არ სჩანან, მაგრამ რომლებიც აუცილებლად არსებობენ და რომლებსაც დიდი ქიმიური ზედმოქმედების უნარი აქვთ. ამ უკანასკნელ ხანებში ნახშირმჟავა გაზის და წყლის ნარევისაგან დაამზადეს სახამებელი.

მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ასეთი სხივები ერთობ მცირე რაოდენობით მოიპოვება მზის სხივებში და ტეხნიკურის თვალსაზრისით ეს არ იყო დამაკმაყოფილებელი. შემდეგ კიდევ აქ სულ სხვა ინტერესი იყო ჩამარხული. ბუნებაში ეს პროცესი უბრალო მზის სხივების საშვალებით ხდება, და ამიტომ საინტერესო იყო ამ სხივების საშვალებითვე მისი ხელოვნურად დამზადება. აი სწორედ ეს ამოცანა ბრწყინვალედ დაავგვირგვინა ინგლისელმა მეცნიერ ფიზიკმა ბალიმ 1922 წ. გაურია წყალში ცოტა ოდენი შესაფერი ნივთიერება და ამნაირად ამ ნარევზე მზის სხივების მოქმედებამ გამოიწვია მათ შორის ქიმ. რეაქცია რამაც წარმოშვა კრახმალი.

ამნაირად ეს უმნიშვნელოვანესი ქიმიური პროცესი, რომელიც ყოველ წუთს მიმდინარეობს ჩვენს გარშემო და რომელიც სტიმულია დედამიწაზე ყოველგვარ ორგანიული ცხოვრების. პირველად იქნა განმეორებული ხელოვნურად. უბრალო და ყველგან არსებულ ნივთიერებათა საშვალებით დამზადებული იქნა რთული ტეხნიკური მნიშვნელობის ნივთიერება სახამებელი.

ამისთვის არ დახარჯულა სხვა რომელიმე ენერგია არამედ უხვად მოცემული მზის ენერგია. იქნება თუ არა ტეხნიკური მნიშვნელობის ეს მიღწევა ამას მომავალი გვაჩვენებს, მხოლოდ ის მაინც საინტერესოა, როგორც მზის ენერგიის ახალ შესაძლებლობისათვის გამოყენება.

შეიხი.

ჩერვონეცის კურსი 1 აპრილს

1 **ჩერვონეცი 30,000,000,000.**

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.= 30,000,000	37 კ.=1,110,000,000	73 კ.=2,190,000,000
2 კ.= 60,000,000	38 კ.=1,140,000,000	74 კ.=2,220,000,000
3 კ.= 90,000,000	39 კ.=1,170,000,000	75 კ.=2,250,000,000
4 კ.= 120,000,000	40 კ.=1,200,000.000	76 კ.=2,280,000,000
5 კ.= 150,000,000	41 კ.=1,230,000,000	77 კ.=2,310,000.000
6 კ.= 180,000,000	42 კ.=1,260,000,000	78 კ.=2,340,000,000
7 კ.= 210,000,000	43 კ.=1,290,000,000	79 კ.=2,370,000,000
8 კ.= 240,000,000	44 კ.=1,320,000,000	80 კ.=2,400,000,000
9 კ.= 270,000,000	45 კ.=1,350,000,000	81 კ.=2,430,000,000
10 კ.= 300,000,000	46 კ.=1,380,000,006	82 კ.=2,460,000,000
11 კ.= 330,000,000	47 კ.=1,410,000,000	83 კ.=2,490,000,000
12 კ.= 360,000,000	48 კ.=1,440,000,000	84 კ.=2,520,000,000
13 კ.= 390,000,000	49 კ.=1.470,000,000	85 კ.=2.550,000,000
14 კ.— 420,000,000	50 კ.=1,500,000,000	86 კ.=2,580,000,000
15 კ.= 450,000,000	51 კ.=1,530,000,000	87 კ.=2,610,000,000
16 კ.= 480,000,000	52 კ.=1,560,000,000	88 კ.=2,640,000,000
17 კ.= 510,000,000	53 კ.=1,590.000,000	89 კ.=2,670,000,000
18 კ.= 540.000.000	54 კ.=1,620,000,000	90 კ.=2,700,000,000
19 კ.= 570,000,000	55 კ.=1,650.000,000	91 კ.=2,730,000,000
20 კ.= 600,000,000	56 კ.=1,680,000,000	92 კ.=2,760,000,000
21 კ.= 630,000,000	57 კ.=1,710,000,000	93 კ.=2,790,000,000
22 კ.= 660,000,000	58 კ.=1,740,000,000	94 კ.=2,820,000,000
23 კ.= 690,000,000	59 კ.=1,770,000,000	95 კ.=2,850,000,000
24 კ.= 720,000,000	60 კ.=1,800,000,000	96 კ.=2,880,000,000
25 კ.= 750,000,000	61 კ.=1,830,000,000	97 კ.=2,910,000,000
26 კ.= 780,000,000	62 კ.=1,860,000,000	98 კ.=2,940,000,000
27 კ.= 810,000,000	63 კ.=1,890,000,000	99 კ.=2,970,000.000
28 კ.= 840,000,000	64 კ.=1,920,000,000	1მ.=3,000,000,000
29 კ.= 870,000.000	65 კ.=1,950,000,000	2მ.=6,000,000,000
30 კ.= 900,000,000	66 კ.=1,980,000,000	3მ.=9,000,000,000
31 კ.= 930,000,000	67 კ.=2,010,000,000	4მ.=12,000,000,000
32 კ.= 960,000,000	68 კ.=2,040,000,000	5მ.=15,000,000,000
33 კ.= 990,000,000	69 კ.=2,070,000,000	6მ.=18,000,000,000
34 კ.=1,020,000,000	70 კ.=2,100,000,000	7მ.=21,000,000,000
35 კ.=1,050,000,000	71 კ.=2,130,000,000	8მ.=24,000,000,000
36კ· =1,080,000,000	72 კ.=2,160,000,000	9მ.=27,000,000,000
		10მ.=30.000.000.000

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჩანტლაძე.